

შპს “გრავიტა”

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ძირითადი საშუალებები	12
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	12
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	12
7. მიღებული და გაცემული სესხები	13
8. შემოსავლები	13
9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
10. ადმინისტრაციული ხარჯები	13
11. პირობითი ვალდებულებები	13

შპს „გრავიტა“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	302,819	69,847
საგადასახადო აქტივი	385,335	72,346
გადახდილი ავანსები	1,157,197	48,625
გაცემული სესხები	169,469	151,469
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	890,697	332,718
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	95,137	127,973
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,000,654	802,977

გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,326,899	101,832
არამატერიალური აქტივები	2,519	4,030
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,329,418	105,862
სულ აქტივები	4,330,072	908,839

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	411,190	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	480,360	531,004
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
ანარიცხები	-	-
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები	-	5,000
სახელმწიფო ვალდებულებები	2,538,791	633,519
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,430,341	1,169,523

გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	-
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები	-	-
ფინანსური იჯარი ვალდებულება	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-

სულ ვალდებულებები	3,430,341	1,169,523
--------------------------	------------------	------------------

საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	100	100
გაუნაწილებელი მოგება	899,631	(260,784)
სულ კაპიტალი	899,731	(260,684)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4,330,072	908,839

პაატა ჟღენტი
გენერალური დირექტორი

ქეთევან გოგოლაძე
ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	302,819	69,847
საგადასახადო აქტივი	385,335	72,346
გადახდილი ავანსები	1,157,197	48,625
გაცემული სესხები	169,469	151,469
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	890,697	332,718
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	95,137	127,973
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,000,654	802,977
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,326,899	101,832
არამატერიალური აქტივები	2,519	4,030
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,329,418	105,862
სულ აქტივები	4,330,072	908,839
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	411,190	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	480,360	531,004
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
ანარიცხები	-	-
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები	-	5,000
სახელმწიფო ვალდებულებები	2,538,791	633,519
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,430,341	1,169,523
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	-
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები	-	-
ფინანსური იჯარი ვალდებულება	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	3,430,341	1,169,523
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	100	100
გაუნაწილებელი მოგება	899,631	(260,784)
სულ კაპიტალი	899,731	(260,684)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4,330,072	908,839

პაატა ჟღენტი
გენერალური დირექტორი

ქეთევან გოგოლაძე
ბუღალტერი

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შემოსავალი	8,171,748	2,566,494
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,257,123)	(1,965,412)
საერთო მოგება	1,914,625	601,082
ადმინისტრაციული ხარჯები	(565,466)	(783,365)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(201,279)	(98,172)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	83,587	40,230
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	1,231,467	(240,226)
ფინანსური შემოსავალი	18,000	18,000
ფინანსური ხარჯები	(89,052)	(46,396)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1,160,415	(268,622)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	1,160,415	(268,622)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული ზარალი	1,160,415	(268,622)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	(260,684)	7,938
გაცემული დივიდენდები	-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	899,731	(260,684)

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება „გრავიტა“, საიდენტიფიკაციო ნომრით 404988554 წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა 2012 წელს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, შარტავას ქ. N45.

კომპანიის 100% წილის მფლობელი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ზურაბ საყვარელიძე(01001016231).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და არქიტექტურა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.2. მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2.3. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღმრწამო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომელის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5902	3.1044

2.4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.5. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღმრისხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

კომპანიის ბალანსზე ირიცხება როგორც შეძენილი, ასევე, წარმოებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. მარაგებში აღირიცხება გასაყიდად გამიზნული მიმდინარე პროექტები, რომელთა ღირებულება მოიცავს პროექტის ფარგლებში გახარჯული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულებას, სახელფასო, სატრანსპორტო და სხვა პირდაპირ დანახარჯებს, გარდა მიღებული სესხებისა.

2.6. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღირიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძირითადი სასულებების ჯგუფები	საექსპლუატაციო ვადა
მიწა	
მანქანა-დანადგარები	3
ინვენტარი	5
ოფისის აღჭურვილობა	3
ავეჯი და სხვა	3
ტრანსპორტი	6

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.7. არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7 წლით.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში.

2.8. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღმრწამსო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული საპროცენტო ხარჯი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

2.9. გადასახადები

მოგების გადასახადი - მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღმრისხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, მოგებაში ან ზარალში ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი - შემენილი აქტივების თუ მატერიალური ფასეულობების, შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვა ხდება დამატებითი ღირებულების თანხის გამოკლებით, გარდა იმ გამონაკლისებისა, როცა დამატებითი ღირებულების

გადასახადი არ ექვემდებარება ჩათვლას. ასეთ შემთხვევაში, დამატებითი ღირებულების ხარჯი მიეკუთვნება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებს ან აღირიცხება ხარჯის მუხლში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემენისაგან მიღებული ავანსები. კომპანია შესაბამისად ბეგრავს ავანსებს და აღრიცხავს საგადასახადო გადასახადების აქტივებში.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ, ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.10. შემოსავალი

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან _კომპანიას დამკვეთებთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი, სადაც კონტრაქტის ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივ ხარჯს დამატებული კონტრაქტით გათვალისწინებული მოგების მარჟით; ასეთ შემთხვევაში გრძელვადიანი სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება ფაქტობრივად გაწეულ ხარჯს დამატებული კონტრაქტით განსაზღვრული მოგების მარჟით.

კონტრაქტის ხარჯი მიეკუთვნება იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოხდა ამ ხარჯის გაწევა. ისეთ შემთხვევებში, თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულების ხარჯი გადააჭარბებს საკონტრაქტო შემოსავალს, ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან - აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ საქონელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და საკუთრების უფლება გადაეცა კლიენტს და კლიენტი მიიღებს მიწოდებას. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან - მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

2.11. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღიარდება თუ :

-აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, ცვეთის, ან თანამშრომელთათვის ხელფასის დარიცხვა).

-საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას.

ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიას საანგარიშო პერიოდში აქვს საოპერაციო იჯარა. კომპანია იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.12. კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, კომპანიის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს „გრავიტა“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ინვენტარი	ოფისის აღჭურვილ ობა	ტრანსპორ ტი
საბალანსო ღირებულება 2016					
წლის 31 დეკემბერს	2,926	6,824	19,380	6,821	34,750
შესყიდვები 2017		5,016	7,455	27,175	
ცვეთის ხარჯი 2017		-4,430	-3,750	-4,256	-15,975
საბალანსო ღირებულება 2017					
წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	2,926	7,410	23,085	29,739	18,775
შესყიდვები 2018	1,025,933	9,634	5,367	35,888	209,169
ცვეთა 2018	0	-4,057	-4,287	-10,697	-21,986
საბალანსო ღირებულება 2018					
წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	1,028,859	12,987	24,164	54,930	205,959

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2018	31, დეკემბერი, 2017
ნაღდი ფული საღაროში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	302,819	69,847
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	302,819	69,847

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი, 2018	31, დეკემბერი, 2017
საწვავი	2,359	1,027
მასალები	92,778	126,946
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	95,137	127,973

7. მიღებული და გაცემული სესხები

კომპანიას ბალანსზე უფიქსირდება ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი, რომლის ძირი პერიოდის ბოლოს შედაგენდა 90,000 ლარს, ხოლო დარიცხული მისაღები პროცენტი 79,469 ლარს.

კომპანიას მიმდინარე სასესხო ვალდებულებებში საანგარიშო პერიოდის ბოლოს უფიქსირდება სს „თიბისი ბანკი“-ის გრძელვადიანი სესხის მიმდინარე წილი 411,190 ლარის ოდენობით.

8. შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი დასრულებული კონტრაქტებიდან	6,577,234	2,311,138
შემოსავალი გრძელვადიანი კონტრაქტებიდან	996,507	-
სხვა შემოსავალი	598,008	255,356
სულ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	8,171,748	2,566,494

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2,017
რეალიზებული მარაგის თვითღირებულება	173,856	221,538
შესრულებული შამუშაოების ღირებულება :		
მასალა	2,885,726	882,939
მომსახურება	3,197,541	860,935
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6,257,123	1,965,412

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
პერსონალის ხარჯი	(440,160)	(738,487)
იჯარის ხარჯი	(42,538)	(29,923)
ცვეთა და ამორტიზაცია	(82,768)	(14,955)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(565,466)	(783,365)

11. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები,

რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.